

გრიგოლ ჟორდანია

თავშესაფარი

მოქმედი პირები:

პირველი ჯარისკაცი

მეორე ჯარისკაცი

მესამე ჯარისკაცი

ქალი

(სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სამი ჯარისკაცი ზის სცენის შუაში მდგარ რკინის ბუნკერში, რომელშიც ადამიანი ვერ შეძლებს წელში გამართვას. კედლებზე არიან მიყუდებულები. მხოლოდ ერთი ნათურა ანთია. საბრძოლო აღჭურვილობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენები აქეთ-იქით არის მიმოფანტული. მეორეს და მესამეს თვალები აქვთ დახუჭული. პირველი წიგნს კითხულობს. )

პირველი ჯარისკაცი- (ძლივს კითხულობს)“ხოლო ადამ იცნა ევა ცოლი თვისი და მიდგომილმან შვა კაინ.“...მოიცა „მიდგომილმან შვა“ რას ნიშნავს?(იცინის) მიდგო-მილმან, მი-დგომილმან, მიდგომილ-მან, მიდგომილმან. ოოხ, არ შეიძლება გასაგებ ენაზე წერონ?! ვერაფერი გავიგე...თქვენ? (პასუხი არ არის)გლვიძავთ?

მესამე ჯარისკაცი- არა.

პირველი ჯარისკაცი- თუ არა, „არა“ როგორ მიპასუხე?

მესამე ჯარისკაცი- შენთვის არ მიპასუხია!

პირველი ჯარისკაცი- აბა ვის?

მესამე ჯარისკაცი- ძილში ვთქვი, ალბათ...

პირველი ჯარისკაცი-(იცინის) ისევ კომმარია?

მესამე ჯარისკაცი- ჰო, გინდა მოგიყვე?

პირველი ჯარისკაცი- არც ისე.

მესამე ჯარისკაცი- მოკლედ...

პირველი ჯარისკაცი- დაიწყო...

მესამე ჯარისკაცი- ულრან ტყეში ვსეირნობდი, გულში რაღაცას ვლიღინებდი, ბუნების თვალისმომჭრელი სილამაზით ვტკბებოდი. ისე სასიამოვნოდ გრილოდა... დამჭკნარი ფოთლების სუნი მცემდა. სამარისებული სიჩუმე იდგა. სიმშვიდე, თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ უცბად...

პირველი ჯარისკაცი- დათვი დაინახე...

მესამე ჯარისკაცი- როგორ მიხვდი? უზარმაზარი დათვი დავინახე, საშინელი ეშვებით და ტორებით. რომელიც ჩემკენ მორბოდა...

პირველი ჯარისკაცი- შენც არ შეშინდი და მისკენ გაიქეცი.

მესამე ჯარისკაცი- მეც არ შევშინდი და გავიქეცი მისკენ და უცებ ჰოპ! კისერზე შევახტი და მოხრჩობა დავუწყე. საწყალი ყვიროდა და მემუდარებოდა: „გამიშვი, გამიშვი“ მე კიდე ვუყვიროდი: „არა! არა!“ მეთქი. მაგრამ, ბოლოს...

პირველი ჯარისკაცი- შეგეცოდა!

მესამე ჯარისკაცი-(ნიშნისმოგებით) შემებრალა და გავუშვი. მანდ გამელვიდა...

პირველი ჯარისკაცი- მაგარი კოშმარია..

მესამე ჯარისკაცი- იმისთვის იყო კოშმარი!

პირველი ჯარისკაცი-სულ დათვები როგორ გესიზმრება? ამჯერად რომელი იყო?

მესამე ჯარისკაცი- (სწრაფად) ყავისფერი.

პირველი ჯარისკაცი- გასაგებია.

(იცინიან)

მეორე ჯარისკაცი- მოკეტეთ, თუ შეიძლება!

მესამე ჯარისკაცი-(პირველს) გაიგე..? ეს ვინ თქვა?

პირველი ჯარისკაცი- არ ვიცი?!

მესამე ჯარისკაცი- ჩუმად! მგონი აქ კიდე ვიღაცა არის.

პირველი ჯარისკაცი- ნამდვილად არის!

მესამე ჯარისკაცი- ვინც არ უნდა იყო, გამოდი! შეიარაღებულები ვართ იცოდე...

პირველი ჯარისკაცი-სად იმალები, დაგვენახე..!

მესამე ჯარისკაცი- არის აქ ვინმე?

პირველი ჯარისკაცი- მემგონი ვიღაცის სუნთქვა მესმის...

მესამე ჯარისკაცი- თან თითქოს ოხრავს, არა?

პირველი ჯარისკაცი- ხო, თითქოს ხრიგინებს... აი ასე ხრრრრ...

მესამე ჯარისკაცი- არა, ხრუტუნებს.

პირველი ჯარისკაცი- არა, ხრაშუნობს...

მესამე ჯარისკაცი- თუხთუხებს.

პირველი ჯარისკაცი- რამეს ხომ არ ხერხავს?

მესამე ჯარისკაცი-შეიძლება, მაგრამ უფრო, არა. დააკვირდი თითქოს რაღაცას ფშხნის...

პირველი ჯარისკაცი-შეიძლება ადამიანი არც იყოს!

მესამე ჯარისკაცი-აბა?

პირველი ჯარისკაცი- ალბათ მხეცია, საშინელი მხეცი. დათვია, დათვი...

(მეორე ჩაახველებს)

მესამე ჯარისკაცი- (ვითომ აქამდე ვერ ხედავდნენ) აააა, შენ ხარ? გაგვიხეთქე გული. სულ დაგვავიწყდა აქ რომ იყავი, იმდენი ხანია ხმა არ ამოგიღია. (იცინიან) (მეორე ირონიულად ყვება სიცილში)

(სიჩუმე, პაუზა)

მესამე ჯარისკაცი- მართლა, რომელი საათია?

პირველი ჯარისკაცი-ცხრის ნახევარი. უფრო სწორად ოცდაშვიდი წუთია, უკვე ოცდარვა.

მესამე ჯარისკაცი-დილის თუ საღამოს?

პირველი ჯარისკაცი- რა მნიშვნელობა აქვს? (პაუზა) ოცდაცხრა... მშია! აი ნახევარიც გახდა!

მესამე ჯარისკაცი-რისი?

პირველი ჯარისკაცი-ცხრის, ცხრის!

მესამე ჯარისკაცი-(პოეტურად) ცხრის... ცხრის... რა დღეა?

პირველი ჯარისკაცი- ზუსტად არ ვიცი, მგონი ხუთშაბათი ან პარასკევი. შეიძლება შაბათიც. ვერ გეტყვი.

მესამე ჯარისკაცი- გუშინ არ იყო შაბათი, თუ გუშინ წინ?

პირველი ჯარისკაცი- შეიძლება. მაშინ კვირა ან ორშაბათი.

მესამე ჯარისკაცი- უფრო კვირა მგონია.

პირველი ჯარისკაცი- მე უფრო ორშაბათი.

მესამე ჯარისკაცი- მოიცა, ვერ გავიგე...

პირველი ჯარისკაცი-მერამდენე დღეა აქ ვართ?

მესამე ჯარისკაცი-მერამდენე დღეა აქ ვართ?

პირველი ჯარისკაცი- მეც ეგ გკითხე.

მესამე ჯარისკაცი-მართლა?(თითებზე ითვლის) არ ვიცი, უკვე ამერია.

პირველი ჯარისკაცი- კალენდარში ჩაიხედე.

მესამე ჯარისკაცი- ახლავე , მოიცა(იღებს ტელეფონს)სამშაბათი ყოფილა...

პირველი ჯარისკაცი- ჰა, ხომ გეუბნებოდი..

მესამე ჯარისკაცი- რას მეუბნებოდი?

პირველი ჯარისკაცი- სამშაბათიათქო.

მესამე ჯარისკაცი- (მეორეს) მე არ ვთქვი სამშაბათიათქო?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი.

მესამე ჯარისკაცი- რომელ რიცხვში მოვედით?

პირველი ჯარისკაცი- არ მახსოვს

მესამე ჯარისკაცი- არც მე!( მეორეს) შენ ხომ არ გახსოვს?

მეორე ჯარისკაცი- არა!

პირველი ჯარისკაცი- მგონია, რომ მთელი ცხოვრებაა აქ ვარ. როგორ დავიღალე. აღარ შემიძლია! სახლში მინდა!

მესამე ჯარისკაცი- კარგი, დამშვიდდი , მალე ყველაფერი დამთავრდება და დავბრუნდებით, აბა სად წავალთ. (მეორეს) ეგრე არ არის? (პასუხს არ სცემს)

პირველი ჯარისკაცი- როდის? როდის არის „მალე“? მშია, მშია! თქვენ არა?

მესამე ჯარისკაცი-ეს გამომართვი...

პირველი ჯარისკაცი- მადლობა.

მესამე ჯარისკაცი-როგორია?

მეორე ჯარისკაცი- დაგრჩა კიდე?

მესამე ჯარისკაცი- არა, ბოლო იყო... მაგრამ ეს დაგვრჩა ერთი ცალი. გადმოგიგდო?

მეორე ჯარისკაცი- ეგ არ მინდა...

მესამე ჯარისკაცი- კარგი, მაშინ მე შევჭამ.

მეორე ჯარისკაცი- მერე?

მესამე ჯარისკაცი- შემოგვაწვდიან... მშივრებს არ დაგვტოვებენ.

მეორე ჯარისკაცი-ჯობს გამოვიზოგოთ.

პირველი ჯარისკაცი- აქამდე არაფერი გამოუგზავნიათ და რატომ გგონია, რომ ახლა გამოგვიგზავნიან?

მესამე ჯარისკაცი- იმიტომ, რომ აქამდე დიდი მარაგი გვქონდა. ჰა, როგორია მეთქი?

პირველი ჯარისკაცი- ცუდი არ არის!

მესამე ჯარისკაცი- ცუდი? ხუმრობ?არ წაგიკითხავსამაზე რეებს წერენ?ამათ შორის საუკეთესოა...

პირველი ჯარისკაცი- არ ვიცი საუკეთესოა თუ არა, მაგრამ მე კი ამოვისუნთქე...

მესამე ჯარისკაცი- (მეორეს) ნახევარს გაგიყოფ!

მეორე ჯარისკაცი- არ მინდათქო.

მესამე ჯარისკაცი- გინდა ერთი პატარა სიბრძნე გაგიმხილოთ? იცით ჭამაზე რას ამბობენ? საუზმე ჩვენი ბავშვობა არისო, სადილი- ახალგაზრდობაო და ვახშამი-სიბერეო. ესიგი, სამივე სიამოვნებით უნდა მიიღო... მაგრამ გასაკვირი იცი რა არის?

პირველი ჯარისკაცი-რა?

მესამე ჯარისკაცი- ვახშამი ყველაზე გემრიელია, სიბერე ყველაზე უგემური. პარადოქსია.

პირველი ჯარისკაცი- (იცინის) ვინ თქვა ეს „სიბრძნე“?

მესამე ჯარისკაცი- მე... მაგრამ მე ზოგჯერ სამი-ოთხჯერაც ვჭამ დღეში. უფრო სწორედ ვჭამდი, ზოგჯერ უფრო მეტჯერ. (კუნთებს ჭიმავს) შეხედე, მიდი კარგად შეხედე. კლდეებს ვამტვრევ, რომ იცოდე. სულ კუნთია... მოდი მოუჭირე ხელი. ქვა და რკინაა. გინდა ხელი გადაგიწიო? ის დათვი მონაგონი იქნება. მოდი, მოდი ნუ გეშინია. პირველი ჯარისკაცი- ვის ეშინია? მე? შიშსაც კი ეშინია ჩემი.

(პირველი დგება)

მეორე ჯარისკაცი- არ გაბედო!

მესამე ჯარისკაცი- დაიწყო ისევ ამან... გამაგებინე ვინ დაინახავს?

მეორე ჯარისკაცი- არ გაბედო მეთქი!

მესამე ჯარისკაცი- შეხედე! გაიხედე გამოიხედე! აუუუ! კუკუუ! არის აქ ვინმე? აქ მარტო ჩვენ ვართ, ჩვენ სამნი.

მეორე ჯარისკაცი- მნიშვნელობა არ აქვს, წესებს უნდა დავემორჩილოთ. სად გგონია თავი?

მესამე ჯარისკაცი- კარგი, კარგი დამშვიდდი. (პირველსთვალს უკრავს) სხვა დროს იყოს...

პირველი ჯარისკაცი- ყველაფერზე ეგრე ვამბობთ, „სხვა დროს, სხვა დროს“. იქნება რომ საერთოდ სხვა დრო? იქნებ ამ სოროდან ვერასდროს გავაღწიოთ.

მესამე ჯარისკაცი- მაშინ, სხვა ცხოვრებაში. (იციანის)

მეორე ჯარისკაცი- გავაღწევთ!

პირველი ჯარისკაცი- როგორი თავდაჯერებული ხარ!

მესამე ჯარისკაცი- (მეორეს) არ გაინძრე!

მეორე ჯარისკაცი- (იარაღს მოიმარჯვებს) რა, რა მოხდა?

მესამე ჯარისკაცი- ფრთხილად... მოტრიალდი... ზურგი მაჩვენე!

მეორე ჯარისკაცი- რა არის?

მესამე ჯარისკაცი- არაფერი, კოლო გაზის კისერთან. მოიცა... არ მოკლა, გაუშვი! (მეორე კისერთან ხელს ირტყამს)

პირველი ჯარისკაცი- გამისკდა გული!

მესამე ჯარისკაცი- საწყალი... უბედურ დღეზე გაჩენილი...

პირველი ჯარისკაცი- მე ვარ საწყალი და უბედური?

მესამე ჯარისკაცი- შენზე არ მითქვამს, კოლოზე ვთქვი!

პირველი ჯარისკაცი- კოლოები გეცოდება?

მესამე ჯარისკაცი- იცი, ჩემი უფროსი და პროფესიით ენტომოლოგია, კონკრეტულად დიფტეროლოგი. როცა პატარა ვიყავი, ძილის წინ მიყვებოდა, რომ თურმე კოლოებსაც აქვთ გრძნობები. მათაც უყვართ, მათაც სძულთ. უხარიათ, სტკივათ, იციან... წარმოიდგინე, მამრი კოლო, რომ ეპატიჟება მდედრ კოლოს პაემანზე... ბზუილით აფრინდებიან, ვინმეს ნაზ კანზე დააჯდებიან და დაიწყებენ საამოდ სისხლის სმას. (მეორეზე ანიშნებს) მერე ამისნაირი მუტრუკი ხელს მოირტყამს კისერზე და მორჩა, დამთავრდა, მშიდობით საყვარელო არსებებო.



პირველი ჯარისკაცი- აბა მარტო ორი ძმა მყავსო?

მესამე ჯარისკაცი-მართალია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაც მყოლოდა, თან დიფტეროლოგი. (მეორეს)სად წაიღე?

მეორე ჯარისკაცი-რა?

მესამე ჯარისკაცი-ცხედარი. უნდა დავასაფლავო...

მეორე ჯარისკაცი- ნუ ბზუიელებ!

მესამე ჯარისკაცი- არ მოგწონს? ბზზზ

პირველი ჯარისკაცი-(ყვება)ბზზზზ. ისე ჩვენც ვგავართ კოლოებს.(იცინის)

მესამე ჯარისკაცი- არა, ჩვენ ფრენა არ ვიცით, და კიდევ ბევრი რამე... მაგრამ ჩვენც გვიყვარს სისხლის სმა! და ალბათ, ვიღაცისთვის, ჩვენც ერთი კისერზე შემორტყმა ვართ...(იცინის)

პირველი ჯარისკაცი- ისე თქვენი ნება რომ იყოს როგორ შემორტყმას აირჩევდით?

მესამე ჯარისკაცი- შენ?

პირველი ჯარისკაცი- ზუსტად ვიცი, რომ აქ არა.

მესამე ჯარისკაცი-აბა სად?

პირველი ჯარისკაცი- ალბათ, სახლში... სიბერეში, ჩემს საწოლში... სუფთა , თეთრ თეთრეულში გავეხვეოდი... რამდენიმე რბილ ბალიშზე თავს დავდებდი, ერთს ფეხებქვეშ ამოვიდებდი, საბანს შემოვიკეცავდი... შვილებს და შვილიშვილებს დავემშვიდობებოდი, გავუღიმებდი, დავიძინებდი და აღარ გავიღვიძებდი. არა! ჯერ დიდ კრემიან ნამცხვარს შევჭამდი და ცხელ ჩაის მივაყოლებდი.

მესამე ჯარისკაცი- ლიმონით?

პირველი ჯარისკაცი- მოიცა დავფიქრდე. არა, მურაბით...

მესამე ჯარისკაცი- რა მოსაწყენია! ოღონდ ფრთხილად იყავი ბევრმა ტკბილმა შეიძლება კბილები გაგიფუჭოს, მერე ვერაფერი ვეღარ გიშველის და სამუდამოდ დაიტანჯები, იქ! (ზემოთ იშვერს თითს)

პირველი ჯარისკაცი-ნეტა იქ სტომატოლოგები თუ არიან?

მესამე ჯარისკაცი- სამოთხეში სტომატოლოგებს რა უნდათ?!

პირველი ჯარისკაცი-ჯოჯოხეთში?

მესამე ჯარისკაცი-ჯოჯოხეთში-იცოცხლე. ალბათ თვითონ ეშმაკები არიან სტომატოლოგები. აქ რაც მაგათხალხი ყავთ გამწარებული. აბა, დაკრიჭე კბილები, შემახედე...

პირველი ჯარისკაცი- (კრიჭავს)გადავრჩები, ექიმო?

მესამე ჯარისკაცი- არ ვიცი, არ ვიცი... მოიცა გავანათოთ.(ფანრით ანათებს, სერიოზულად) ერთი შეხედვით სიბრძნის ოთხივე კბილი დისოპირებულია.

პირველი ჯარისკაცი- დისო... რა? ანუ?

მესამე ჯარისკაცი- ანუ იქ არ არის, სადაც უნდა იყოს...

პირველი ჯარისკაცი- აბა სად არის?

მესამე ჯარისკაცი- გააღე უფრო დიდზე. ცოტა ჩემსკენ შემოატრიალე თავი, აი, კარგია!ძალიან კარგია! მშვენიერია! არაჩვეულებრივია! ეს არ მომეწონა! ცუდია! ძალიან ცუდია! ვაიმე! შემობრუნებულია სიგრძვი ღერძის გარშემო.

პირველი ჯარისკაცი- რის გარშემო?

მესამე ჯარისკაცი- რა მნიშვნელობა აქვს რის გარშემო, მთავარია შემობრუნებულია.

მეორე ჯარისკაცი- რამდენჯერ უნდა გავიმეორო? ერთმანეთთან ახლოს მისვლა გვეკრძალება. დაიცავით დისტანცია! ახლავე!

პირველი ჯარისკაცი-(მეორეზე) მე, ამისნაირი ხასიათი, რომ მქონდეს აუცილებლად თავს მოვიკლავდი. შუბლზე იარაღს მივიდებდი, ოღონდ „დისტანცირებულად“ და ბუხ! არ გეწყინოს, ვიხუმრე.

მეორე ჯარისკაცი- არ არის სასაცილო.

მესამე ჯარისკაცი- ვეთანხმები, ნამდვილად არ არის სასაცილო. მოიცა... ეს მე ვთქვი? კარგი, რა მნიშვნელობა აქვს. (იცინის)

მეორე ჯარისკაცი-( მესამეს) და შენ როგორი სიკვდიელი გინდა?

მესამე ჯარისკაცი-მე? მე ჩამოსული ვარ მაგ ავტობუსიდან...

მეორე ჯარისკაცი- რომელი ავტობუსიდან?

მესამე ჯარისკაცი- მომისმინე! იცი, რომ როგორც კი ვიბადებით, იმ წამსვე ავტობუსში ვსხდებით, რომელსაც ნომრის მაგივრად ჩვენი სიკვდილის თარიღი აწერია...

მეორე ჯარისკაცი- კიდე იგივე...

მესამე ჯარისკაცი-(არ აქცევს ყურადღებას)ხოდა, ისე აღმოჩნდა, რომ მე ბილეთი არ მაქვს, არ ვიცი რატომ. ალბათ, სადმე დავკარგე, შეიძლება სადმე დამივარდა. ჯიბიდან ამომივარდა.(ეძებს, თითქოს შეიძლება დავარდნოდა იქ)(მეორეს) ადექი, შენ ხომ არ აზიხარ? შეიძლება თავიდანვე არ მქონია. ამიტომ ხვდები?.. (იცინის)

მეორე ჯარისკაცი- ბევრს ეგონა, რომ ბილეთი არ ჰქონდა, მაგრამ სულ ტყუილად და ბევრმაც შეაკლა თავი მაგ რწმენას.

მესამე ჯარისკაცი-თუ გინდა გამჩხრიკე.

მეორე ჯარისკაცი- როდის მორჩები სისულელეების ლაყბობას?

პირველი ჯარისკაცი- ანუ გგონია, რომ არ მოკვდები?

მესამე ჯარისკაცი- მგონია კი არა ვიცი, დარწმუნებული ვარ!არ გჯერა, რომ უკვდავი ვარ? (იარაღს იღებს და ტენის)

პირველი ჯარისკაცი- დაანებე თავი, არ გაგივარდეს...

მესამე ჯარისკაცი-თქვენ იდარდეთ, მე არაფერი მომივა... (იმიზნებს) ერთი... ორი... ორნახევარი... ორი და სამი მეოთხედი... ორი და ოთხი მეხუთედი...

პირველი ჯარისკაცი- გეყოფა, გაჩერდი... სათამაშო არ არის?

მესამე ჯარისკაცი- ორი და ხუთი მეექვსედი...

პირველი ჯარისკაცი- (ნაძალადევი სიცილით) მორჩი...

მეორე ჯარისკაცი- დაანებე თავი, იქნებ მართლა გაუვარდეს და დაგვასვენოს.

მესამე ჯარისკაცი- მერე ვინ გითხრა რომ მე ვთამაშობ? მე თუ ვთამაშობ, ესეიგი თქვენ, ორივე ჩემსავით თამაშობთ! არა? ყოველთვის მიყვარდა თამაშები. გინდა მართლა ვითამაშოთ რამე? მოდი გავითვალოთ და ვინც გავარდება იმას ვესროლოთ.

იყო სამი თევზი,

ერთი მეორეს ჭამდა,

სანამ დაფიქრდები,

ყველა გავა შენს გარდა...

(საკუთარ თავზე დაამთავრებს) გავარდით!

მეორე ჯარისკაცი- იარაღი დადე, სანამ ხელიანად მოგაჭერი!

მესამე ჯარისკაცი- (სხვებს უმიზნებს) ბახ, ბუხ (იცინის, პირველიც ყვება სიცილში, იარაღს დააგდებს) იცოდით, რომ თევზები წყალში არ იხრჩობიან?

მეორე ჯარისკაცი- ჯობს ცოტა ნაკლები ილაპარაკო, ცოტა შინაგან „სილამაზეს“ შეგმატებს. საერთოდ თუ გაქვს!

მესამე ჯარისკაცი- ესეიგი გგონია, რომ მახინჯი ვარ? მორჩა! ხმას არ ამოვიღებ! (პაუზა) შენ საერთოდ რა იცი რა არის სილამაზე? რა საშინელი რამეა იცი? არც მინდა რამე, მას მმატებდეს! და საერთოდ, მეშინია მე სილამაზის!

მეორე ჯარისკაცი-(ხმამაღლა იცინის) სადღაც, ტალახიან ორმოში გდიხარ, უწყლოდ და უსაჭმლოდ, იარაღმომარჯვებული, სადაცაა თავს დაგესხმებიან და გაგასხმევიანებენ მაგ ტვინს, ეგ მაინც თუ გაქვს! და ამბობ, რომ სილამაზის გეშინია... ვაიმე, სილამაზე მოდის! უუუუუ! ხომ არ ჩაიფსი? გაგეპარა მგონი!

(ყველა ჰყვება სიცილში)

მესამე ჯარისკაცი- დიახ! ამ ტალახში მომწონს ცხოვრება! ხომ გრძნობ ნეხვის სუნს? ფუ, როგორ ყარს! მართლა როგორ ყარს! აი, ესარის სიცოცხლის სუნი! ამიტომ ვარ აქ, რომ ეს სუნი ვისუნთქო!

მეორე ჯარისკაცი- ისუნთქე მერე, ვინ გიშლის?

მესამე ჯარისკაცი- შენც ამისთვის ხარ! და შენც! ყველანი ამ სიბინძურეში ცხოვრობთ. იმიტომ, რომ ეს თქვენ გინდათ, არა? თან იტყუებით, რომ - არა... საკუთარ თავებს ატყუებთ... აი, მე კი ხმამაღლა ვამბობ! (იცინის) რა მნიშვნელობა აქვს აქ ვიქნებით თუ გარეთ. ნაგავი-ნაგავია... ნეხვი-ნეხვია.

მეორე ჯარისკაცი- დამშვიდდი, დამშვიდდი. მორჩი ამ პათეტიკურ მონოლოგებს! ეს თეატრი არაა. ომია! ომი!

მესამე ჯარისკაცი- მერე ომი თეატრი არ არის? და თეატრიც ხომ ომია?

მეორე ჯარისკაცი- კარგი, შენ იცხოვრე ნაგავში, ჩვენ თავი დაგვანებე...

პირველი ჯარისკაცი-(ღიმილით) დაანებე თავი, გეხვეწები ნუ გააგიჟე...

მესამე ჯარისკაცი- დანებებული არ მაქვს? ხომ გითხარი, ხმას არ ამოვიღებთქო. (პაუზა) რაღაც ხდება, მაგრამ ჯერ არ ვიცი რა.

მეორე ჯარისკაცი- გაჩუმდი! გაჩუმდი!

მესამე ჯარისკაცი- მორჩა, ჩუმად ვარ. (პაუზა) რომელი საათია?

პირველი ჯარისკაცი- ცხრის ნახევარია.

მესამე ჯარისკაცი- მოიცა, მოიცა რა? რის ნახევარი?

პირველი ჯარისკაცი- ცხრის...

მესამე ჯარისკაცი- როგორ? წელანაც ცხრის ნახევარი არ იყო?

პირველი ჯარისკაცი- არ ვიცი. აჰა, შეხედე...

მესამე ჯარისკაცი- (პოეტურად) ცხრის... ცხრის... ღმერთო, რა ნელა გადის დრო...

მეორე ჯარისკაცი- სად გეჩქარებათ? ჯობს საერთოდ არ გადიოდეს.

პირველი ჯარისკაცი- რა სისულელეა. რაც უფრო ნელა გავა დრო, მით უფრო გაიწელება ჩვენი აქ ყოფნა.

მეორე ჯარისკაცი- ომი წუთებში და წამებში არ იზომება. ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს დროს!

პირველი ჯარისკაცი- აბა რაში იზომება?

მეორე ჯარისკაცი- მკვდრების რაოდენობაში.

პირველი ჯარისკაცი- რაში?

მესამე ჯარისკაცი- მკვდრების რაოდენობაში, ანუ მ/რ-ებში. ასი მ/რ, ორასი მ/რ, მილიონი მ/რ...

პირველი ჯარისკაცი- გასაგებია, და რამდენ მ/რ-ში დამთავრდება?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი.

პირველი ჯარისკაცი- მშია!

მეორე ჯარისკაცი- ახლა არ ჭამე?

პირველი ჯარისკაცი- ახალგაზრდა ორგანიზმს ბევრი საკვები სჭირდება. ვიტამინები, მინერალები... დღესაც თუ არ მოგვიტანეს, მე გავდივარ აქედან!

მეორე ჯარისკაცი- გახვალ და შუბლში დიდ ნახვრეტს მიიღებ, სნაიპერისგან. ციყვის ფულუროს დაემსგავსები, გაფუჭებული ნიგვზით სავსეს.

მესამე ჯარისკაცი- იდეა მაქვს! მოდით, ჩავერთოთ...

მეორე ჯარისკაცი-ისევ...

პირველი ჯარისკაცი- და ეგ რას გვიშელის?

მესამე ჯარისკაცი- ვთხოვოთ ხალხს, იქნებ ჩვენს მეთაურებს დაუკავშირდნენ და შემოგვიტანონ რაც გვჭირდება.

პირველი ჯარისკაცი-მიდი, ჩართე. სულ თუ არაფერი, ყურადღება მაინც გადავიტანო...

მესამე ჯარისკაცი- (ტელეფონს რთავს) მოიცა, აი დაუკავშირდით. ვჩანვარ? მოგესალმებით მეგობრებო! ისმის ჩემი ხმა? დამიდასტურეთ თუ ისმის.ბოდიშს გიხდით გუშინდელი ტექნიკური ხარვეზისთვის.გამარჯობა... ცოტა ხანიდავიცადოთ სანამ შემოვა ხალხი. (პირველს) ნახე რა ჩქარ-ჩქარა ემატება. უკვე ხუთასი კაცი გვიყურებს. მოგესალმებით ყველას! (ხელს უქნევს) ჩვენ ისევ აქ ვართ,სამხედრო თავშესაფარში... უკვე აღარც კი გვახსოვს მერამდენე დღეა. (იცინის) ბრძოლა გრძელდება და ჩვენ მის წინა ხაზზე ვართ... ჯერჯერობით ყველანი კარგად ვართ და იმედია, ასეც გაგრძელდება. ერთადერთი, საჭმელი და წყალი აღარ გვაქვს. რამდენიმე დღეა თითო-თითო ლუკმაზე გადავდივართ .(პირველზე) ეს ორ-ორზე(იცინის) ჩვენს მეთაურებს ვერ ვუკავშირდებით და იქნებ, დაგვეხმაროთ და ხმა მიაწვდინოთ როგორმე, რომ მოგვარდეს ეს პრობლემა. დიდი მადლობა წინასწარ(კამერას ატრიალებს პირველისკენ და მეორესკენ, ჯარისკაცები ხელს უქნევენ) მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენი წყალობით არაფრის გვეშინია... ორიათასი მნახველი...

პირველი ჯარისკაცი- რა? შემახედე!

(მესამე კომენტარებს კითხულობს)

მესამე ჯარისკაცი-„ვინ არის თქვენი მეთაურიო“ -ნამდვილად არ ვიცი, თვალთ არ მინახავს... (იცინის)

მესამე ჯარისკაცი- „მოკითხვასამივესო და გადარჩენას გისურვებთო“.

პირველი ჯარისკაცი- გადავრჩებით, გადავრჩებით...

**მესამე ჯარისკაცი**- „მადლობა თქვენს მშობლებს, ასეთი მამულიშვილების გაზრდისთვისო“ „...თქვენ გიწევთ ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვაო“ „...თქვენი შემხედვარე, იმედი გვაქვს, რომ ოდესმე გვეშველებაო“. გვეშველება, გვეშველება... „...თქვენ, ახალი თაობა, სულ სხვა თაობა ხართო. უფრო მამაცებიო“ „...თქვენს ხელშია ჩვენი ბედისწერა და თქვენზეა დამოუკიდებელი გადარჩება თუ არა ჩვენი ქვეყანაო“ „... ძალიან გაფსაფსტო“...

**პირველი ჯარისკაცი**-გაფსა... რაო?

**მესამე ჯარისკაცი**-გაფსაფსბთო, გაფსა... ფსა... გაფს...ბთო... ალბათ გაფსაებთო? გვიყვარხართ ყველა, ვინც გვერდში გვიდგახართ და გვგულშემატკივრობთ. (მეორეს) მიესალმე.

**მეორე ჯარისკაცი**- გამარჯობა.

**მესამე ჯარისკაცი**- „არ გეშინიათო?“

**პირველი ჯარისკაცი**- არა, არ გვეშინია, ნამდვილად არ გვეშინია! მზად ვართ დავიხოცოთ, იმიტომ, რომ ეს ჩვენი მოვალეობაა თქვენს წინაშე და ქვეყნის წინაშე!

**მესამე ჯარისკაცი**- „თქვენ ჩვენი გმირები ხართო“ „...გმირები ხართო“, (ორივეს) შეხედეთ, ხუთიათას ხუთას სამოცდათორ...ცა...თოთხმეტზე მეტი ადამიანი გვიყურებს. ძალიან დიდ ძალას გვმატებს თქვენი, თითოეულის კომენტარი... „გაუმარჯოს გმირებსო“, „დიდება გმირებსო“, „თავდადებული გმირები“, „გმირებო“ „გმირებო“ „გმირები“ „გმირები“ „გმირები“. გესმით? გმირები ვართ. დიახაც, გმირები ვართ! თქვენი გმირები ვართ! ამ ქვეყნის გმირები ვართ! (მესამე და პირველი ყვირიან) გმირები ვართ! გმირები!

**მეორე ჯარისკაცი**- გაჩუმდით და გამორთე ახლავე! გამორთე!

**პირველი და მეორე**- (მღერძიან) გმირები, გმირეები, გმი-გმი-გმი-გმი-გმირებიი!



მეორე ჯარისკაცი-გაჩერდით!

მესამე ჯარისკაცი- რა მოხდა?

მეორე ჯარისკაცი- გამორთემეთქი! დროზე!

პირველი ჯარისკაცი- რაზე ბრაზდები?

მეორე ჯარისკაცი- (ყვირის) აღარ გამამეორებინოთ, გაფრთხილებთ!  
გამორთეთ!

(მესამე თიშავს ტელეფონს)

პირველი ჯარისკაცი- რა გაყვირებს?

მეორე ჯარისკაცი- არასწორია, ეს არასწორია!

პირველი ჯარისკაცი- რა არის არასწორი?

მეორე ჯარისკაცი- ის რასაც ვაკეთებთ..!

პირველი ჯარისკაცი- ჩართვას გულისხმობ?

მეორე ჯარისკაცი- ხო!

პირველი ჯარისკაცი- არასწორი რატოა?

მეორე ჯარისკაცი- მე აქ იმიტომ ვარ, რომ დავამტკიცო რომ ასეთი ვარ.  
თუ მეცოდინება რომ ასეთი ვარ, რაღა აზრი ექნება ჩემს აქ ყოფნას?

პირველი ჯარისკაცი- ასეთი როგორი?

მესამე ჯარისკაცი-(ყურადღების გადატანა უნდა) მეთაურზე  
დაგვავიწყდა! ისე, მართლა ვინ არის ჩვენი მეთაური?

პირველი ჯარისკაცი-(ისევ მეორეს) ასეთი როგორი?

მესამე ჯარისკაცი- ვინ არის ჩვენი მეთაური?

პირველი ჯარისკაცი- არ ვიცი, არა... მეც არასდროს მინახავს.

მესამე ჯარისკაცი- როგორ, თუ არ გინახავს, აბა... (მეორეს) შენ?

მეორე ჯარისკაცი- როგორ ვერ ვიტან ამ ხალხს..!რაც არ უნდა ამოიღო სულიდან, ყველაფერს ჭამენ. არა, ხალხს კი არა, მაგ ხალხში შემავალ ადამიანებს ვერ ვიტან. (ჯიბიდან იღებს დაკუჭულ ფურცელს და შლის)

მესამეჯარისკაცი- ერთი წუთით... აბა, აქ ვინ მოგიყვანათ?

პირველი ჯარისკაცი- მე მშობლებმა მომიყვანეს. მამაჩემიც სამხედრო იყო, იმის მამაც, იმის მამაც და იმის მამაც.

მესამე ჯარისკაცი- და იმის მამა?

პირველი ჯარისკაცი- იმის მამა.. არ ვიცი.. უბრალოდ მამა. შენ?

მესამე ჯარისკაცი-ვინ მომიყვანა?აი, ამან!(თითს იღებს მკერდზე)საკუთარმა თავმა! მე მოხალისე ვარ. ჩემით მოვედი. მგონია, რომეს ჩემი მოწოდებაა, ვხვდები, ვგრძნობ. მე ამ საქმისთვის დავიბადე. მებრძოლი ვარ. ბრძოლის გარეშე რა აზრი აქვს ცხოვრებას?!

მეორე ჯარისკაცი- (თავისთვის, ფურცელს უყურებს) ცდები...

პირველი ჯარისკაცი- ერთი წუთით, ესეიგი რა გამოდის, რომ არცერთმა არ ვიცით ვინ გვმეთაურობს? აბა ბრძანებას ვისგან ველოდებით?

მესამე ჯარისკაცი- არ ვიცი.

მეორე ჯარისკაცი- რა მნიშვნელობა აქვს ვისგან მივიღებთ ბრძანებას? ჩვენ მითითებებს უნდა გავყვეთ.

პირველი ჯარისკაცი- და რა მითითება გვაქვს?

მეორე ჯარისკაცი- პირველი ის, რომ ერთმანეთთან მიახლოვება გვეკრძალება!

პირველი ჯარისკაცი- მეორე?

მეორე ჯარისკაცი- მეორე ის, რომ მტერს უნდა შევებრძოლოთ!

პირველი ჯარისკაცი- კიდევ?

მეორე ჯარისკაცი- მეტი რა გინდა?

პირველი ჯარისკაცი- როგორ თუ რა მინდა? ან სტრატეგია არ უნდა გვექონდეს, ან სამოქმედო...?(ფურცელზე) ხელში რა გიჭირავს? ეგ არის გეგმა?

მეორე ჯარისკაცი- შენი საქმე არ არის.

მესამე ჯარისკაცი-(ფურცელზე) რა არის?

მეორე ჯარისკაცი- არაფერი.

მესამე ჯარისკაცი- გვაჩვენე.

მეორე ჯარისკაცი-არა.

(პირველი წაართმევს)

მეორე ჯარისკაცი- დამიბრუნე!

მესამე ჯარისკაცი- რა არის?

პირველი ჯარისკაცი- არაფერი, ნახატია...

მესამე ჯარისკაცი-მანახე, შენი შვილისაა?

მეორე ჯარისკაცი- ჰო.

მესამე ჯარისკაცი-ესენი ვინ არიან?

მეორე ჯარისკაცი- მე და ჩემი შვილი. დამიბრუნე!

პირველი ჯარისკაცი- (იციან)შენ რომელი ხარ? ალბათ, ეს, მაღალი, არა? მოიცა, კაბა რატო გაცვია?

მეორე ჯარისკაცი- დამიბრუნე!

პირველი ჯარისკაცი- შეხედე, მემგონი შენ შვილს ქალი ჰგონიხარ.

მეორე ჯარისკაცი- დამიბრუნემეთქი!

პირველი ჯარისკაცი- ხომ არ გვატყუებ და სინამდვილეში ქალი ხო არ ხარ? აბა გვაჩვენე...

მესამე ჯარისკაცი- (პირველს) ეს უკვე სექსიზმია... იყოს ქალი თუ უნდა. ყველას აქვს არჩევანის უფლება. (იციან)

პირველი ჯარისკაცი- სექსიზმი და აფორიზმი არ ვიცი მე...

მეორე ჯარისკაცი- ნახატი დამიბრუნე!

მესამე ჯარისკაცი- კარგი დაუბრუნე...

პირველი ჯარისკაცი- ისე, შენგან მშვენიერი გოგო დადგებოდა. აბა დატრიალდი. (იცინის)

მესამე ჯარისკაცი- გეყოფა!

პირველი ჯარისკაცი- კარგი ჰო, რატო დაიძაბეთ? ვცდილობ ცოტა გაგამხიარულოთ!

(მეორეფურცელს კეცავს და ჯიბეში იღებს)

პირველი ჯარისკაცი- (სიმღერას აგრძელებს) გმირებიიი! გმირები! გმი-  
გმი-გმი-გმი-გმირები!

მესამე ჯარისკაცი- (მესამეც ყვება) გმირებიიი! გმირები! გმი-გმი-გმი-გმი-  
გმირები! გმირებიიი! გმირები! გმი-გმი-გმი-გმი-გმირები!

მეორე ჯარისკაცი- ჩუმად!

პირველი ჯარისკაცი-რა გინდა, რა? დაგვანებე თავი!

მეორე ჯარისკაცი- გაიგეთ?

მესამე ჯარისკაცი- რა?

მეორე ჯარისკაცი-ხმა გაიგეთ?

მესამე ჯარისკაცი-მე არაფერი გამიგია!

(მორიდებით შემოდის სცენის დამლაგებელი ქალი. ჟესტიკულაციის მეშვეობით ბოდიშს უხდის მაყურებელს ხელის შეშლისთვის და ანიშნებს, რომ მალე დაასუფთავებს და წავა. ქალმა არ იცის ჯარისკაცების შესახებ და არც მათი ხმა ესმის. ჯარისკაცებიც ვერ ხედავენ მას)

მეორე ჯარისკაცი-უსმინეთ! დააკვირდით! მე მგონი დაიწყო!

პირველი ჯარისკაცი- რა დაიწყო?

(ყურს უგდებენ)

მეორე ჯარისკაცი- მგონი, ალყაში ვართ...

პირველი ჯარისკაცი- ვაიმე, დედა!

მეორე ჯარისკაცი- (დამლაგებელი დადის) აი, აი! ვიღაც დადის!

პირველი ჯარისკაცი-მეშინია!

მეორე ჯარისკაცი-ჩუმად! მოემზადეთ...(პირველს) მოკიდე ხელი იარაღს!

პირველი ჯარისკაცი- (კანკალებს) არ ვიცი ამის ხმარება. ღმერთო, ახლა გადამარჩინე და აღარასდროს წავალ ომში! რა უნდა ვუქნა ამას?

მესამე ჯარისკაცი- სასხლეტს უნდა გამოჰკრა, სხვა არაფერი.

პირველი ჯარისკაცი-ამას?

მეორე ჯარისკაცი- ჯერ გადატენე, აი ასე. (აჩვენებს)

(პირველს ძალა არ ჰყოფნის)

პირველი ჯარისკაცი- მგონი გაიჭედა!

მეორე ჯარისკაცი- უფრო ძლიერად.

პირველი ჯარისკაცი- არ შვება! არ შვება!

მესამე ჯარისკაცი- მაგრად მოქაჩე...

პირველი ჯარისკაცი- ვცდილობ!

მესამე ჯარისკაცი- აი ასე, მიდი, ყოჩაღ!

(დამლაგებელი თავშესაფრის სახურავს ტილოთი წმენდს)

მეორე ჯარისკაცი-აი, აი გესმით?

მესამე ჯარისკაცი-მესმის, ჩუმად.

მეორე ჯარისკაცი- სახურავიდან ისმის ხმა... (ყურს მიადებენ სახურავს)

პირველი ჯარისკაცი- მართლა არიან. ხომ არ გავისროლოთ? (სახურავს უმიზნებს)

მესამე ჯარისკაცი- არა, არა, ერთი შეიძლება მოვკლათ, მაგრამ დანარჩენები დაგვხოცავენ!

პირველი ჯარისკაცი- ანუ გგონიათ, რომ რამდენიმე ადამიანია?

მესამე ჯარისკაცი- მარტო, აქ არავინ მოვიდოდა.

მეორე ჯარისკაცი-ახლოს არიან...

პირველი ჯარისკაცი-ვინ?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი...მტერია, სხვა ვინ უნდა იყოს.

(დამლაგებელი სველ ტილოს წურავს)

პირველი ჯარისკაცი- რისი ხმა არის? მემგონი ბენზინი დაასხეს, რომ გადაგვწვან! მეშინია ცეცხლის! ასანთებისაც მეშინია. აი, გრძნობთ როგორ დაცხა? ვაიმე, ვიგულები, ველარ ვსუთქავ. ვიწვით, ვიწვით! (იხდის ტანსაცმელს,)

მეორე ჯარისკაცი- არანაირი ცეცხლი არ არის. დამშვიდდი და გაჩუმდი.

მესამე ჯარისკაცი- (ვითომ ვერ გაიგო)დამშვიდდი და გაჩუმდი.

მეორე ჯარისკაცი- გაიგებენ ჩვენ ხმას!

მესამე ჯარისკაცი-გაიგებენ ჩვენ ხმას!

მეორე ჯარისკაცი- რატო იმეორებ?

მესამე ჯარისკაცი-რატო იმეორებ? მე?

(დამლაგებელს „ტაშტი“ გაუვარდება)

მეორე ჯარისკაცი- ისვრიან! ისვრიან! დაწექით!

(ყველა წვება. პაუზა. დამლაგებელი იღებს თავის ნივთებს,სახურავზე ადის და იატაკის ჯოხით წმენდს იქაურობას)

მესამე ჯარისკაცი-აქ არის ისევ, სახურავზე...

პირველი ჯარისკაცი- მაგას ნუ მეუბნები. შეხედე, მემგონი პატარავდება აქაურობა. მეშინია! მემგონი კლაუსტრო-ის მაქვს. მეშინია. არა, არ

მეშინია. არა, მეშინია. რისი მეშინია?! გავალთ! არა, ვერ გავალთ! გავალთ!  
ვერ გავალთ! ღმერთო, გემუდარები! ვერ გადავრჩებით! უნდა ვესროლო!

მეორე ჯარისკაცი- არ ესროლო! იქნებ ჩვენიანია!

პირველი ჯარისკაცი-მემგონი მარტოა, დააკვირდით. ერთი ადამიანის  
ნაბიჯების ხმა არის. (ნაბიჯების ხმას ყვება) ბრახ, ბრუხ... ჩვენიანი რომ  
იყოს გვანიშნებდა, რამით გაგვაგებინებდა... დაგვიძახებდა... სამჯერ  
დააკაკუნებდა...

მესამე ჯარისკაცი- ეგ არის ჩვენი საიდუმლო მინიშნება?

პირველი ჯარისკაცი- მე რა ვიცი..! უნდა ვესროლო!

მეორე ჯარისკაცი- გაიგებენ აქ რომ ვართ...

მესამე ჯარისკაცი- არ გინდა. იქნებ წავიდეს, ჩუმად იყავი!

პირველი ჯარისკაცი- კარგი, კარგი. (საკუთარ თავს)დამშვიდდი! ნუ  
ნერვიულობ! შენ ძლიერი ხარ! (მესამეს)მართალი ხარ. ჩუმად. ჩუმად, ჩუ  
(საკუთარ თავს) გაჩერდი! გაჩერდი! მორჩა, ჩუმად ვარ. (გაუვარდება  
იარაღი, ტყვია დამლაგებელს მოხვდება. გვამი ჩამოვარდება სახით  
იატაკზე. ჯარისკაცები შეშინებულები იმალებიან. ნელ- ნელა  
უახლოვდებიან)

მესამე ჯარისკაცი- სხვებიც არიან? ცოცხალია?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი... დამეხმარეთ, გადმოვატრიალოთ.

(უცხად ქალი ღრმად ამოისუნთქავს)

პირველი ჯარისკაცი- ცოცხალია! ცოცხალია!

მეორე ჯარისკაცი- დაარტყით, დაარტყით!

(სამივე გამეტებით ურტყამს იარაღის კონდახს სახეში, თან ყვირიან.  
მესამე და მეორე დადლილები ჩერდებიან. ძლივს სუნთქავენ. პირველი  
აგრძელებს.)

პირველი ჯარისკაცი- მოკვდი! მოკვდი! მოკვდი!

მესამე ჯარისკაცი- გეყოფა.

პირველი ჯარისკაცი- ჩამალლდი ბოლოს და ბოლოს!

მესამე ჯარისკაცი- გეყოფა !

პირველი ჯარისკაცი- ვის ებრძვით თქვენ იცით? ჩვენ გმირი ჯარისკაცები ვართ!გესმის?!

მესამე ჯარისკაცი- გაჩერდი!

პირველი ჯარისკაცი- გაჭმევ შენივე გულს! გაიგე?!

მესამე ჯარისკაცი- მკვდარია, თავი დაანებე!

(პირველი არ ჩერდება ურტყავს და ურტყავს. თან ბოლო ხმაზე ყვირის.მესამე და მეორე პირზე ხელს ააფარებენ, გამოათრევენ. პირველს სიბრაზე ტირილში გადასდის)

მეორე ჯარისკაცი- გეყოფა, დამშვიდდი... (იხუტებს)

პირველი ჯარისკაცი- (გვამზე) შეხედე ქალია, შენსავით.(შეშინებულს და ატირებულს მაინც ჩაელიმება.პაუზა. კანკალებს. გვამს შეხედავს)ეს რა ვქენით? ჩვენ მოვკალით? მიპასუხეთ, მოვკალით? მკვლეელი ვარ... დედა... მამა... დამეხმარეთ... წამიყვანეთ აქედან ვინმემ! ცუდად ვარ, გული მიმდის, მეშინია სისხლის... (შუბლზე ხელს იდებს) სიცხე მაქვს!(ხვდება, რომ ხელები სისხლიანი აქვს) დამბანეთ ხელები! მომაშორეთ!

მეორე ჯარისკაცი- წყალი აღარ გვაქვს. დაწყნარდი. არ იცოდი სად მოდიოდდი? რა გეგონა?

მესამე ჯარისკაცი- ეს რა იარაღია?

მეორე ჯარისკაცი- არ არის იარაღი. ჯოხია.

მესამე ჯარისკაცი- დარწმუნებული ხარ? არ აფეთქდეს.

მეორე ჯარისკაცი- (ყურს მიადებენ, თითქოს წიკწიკი უნდა გაიგონ) არა, იატაკის საწმენდი ჯოხია.



მესამე ჯარისკაცი- (მშვიდდებიან) მაღლობა, ღმერთს! რა ვინერვიულეთ?!(მეორეს) ერთი შენი სახე გენახა. ვინ არის თქვენი აზრით?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი!

მესამე ჯარისკაცი- ჩვენიანია თუ იმათიანი?

მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი...

მესამე ჯარისკაცი- ჯობი რად უნდა?

პირველი ჯარისკაცი-იქნებ რამე ნიშანია? რა გითხრეს როგორ უნდა გაარჩიოთო?

პირველი ჯარისკაცი- არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის!

მესამე ჯარისკაცი- არც ჩემთვის. შენ?

მეორე ჯარისკაცი-ჯიბეში ნახე, რამე საბუთი ედება!

მესამე ჯარისკაცი- მე ხელს ვერ მოვკიდებ! სულ ერთხელ მყავს მკვდარი ნანახი, ისიც შორიდან. მამაჩემის მამიდა. მეხი დაეცა, ოთხმოცდათხუთმეტი წლის იყო და...

მეორე ჯარისკაცი- რა დროს მამაშენის მამიდაა? მე ვნახავ. (ჩხრეკს)

მესამე ჯარისკაცი-რა არის?

მეორე ჯარისკაცი- სამსახურის საშვი.

მესამე ჯარისკაცი- სამხედროა?

მეორე ჯარისკაცი- არა... თეატრში მუშაობს...

მესამე ჯარისკაცი- თეატრში?

მეორე ჯარისკაცი- ჰო, დასუფთავების სამსახურში.

პირველი ჯარისკაცი- სისულელეა! ჯამში იქნება!

მესამე ჯარისკაცი- ვისი ჯამში? ჩვენი თუ იმათი?

პირველი ჯარისკაცი- იქნებ ჩვენი მეთაურია...

მესამე ჯარისკაცი-შეიძლება...

პირველი ჯარისკაცი- რა გვეშველება? ის არ ვიცით, როგორ გამოიყურება ჩვენი მეთაური. არც ის ვიცით, როგორ გამოიყურება ჩვენი მტერი? ის მაინც იცით ვის ვებრძვით?

მესამე ჯარისკაცი- მე ნუ მიყურებ. წარმოდგენა არ მაქვს.

პირველი ჯარისკაცი- რა? არცერთმა არ იცით? გავიგიჟდები...

მეორე და მესამე- არა.

პირველი ჯარისკაცი- (ირონიულად)ვის და ვის შორის არის ომი?

მესამე ჯარისკაცი- ჩვენს და...

პირველი ჯარისკაცი- გააგრძელე...

მესამე ჯარისკაცი-ჩვენს და...

პირველი ჯარისკაცი-ჩვენს და?...ან ვინ „ჩვენ“? ვის ომში ვართ? როდის გაიგეთ იმის შესახებ, რომ ომი დაიწყო? ან ვინ გითხრათ? სადმე გამოაცხადეს?

მესამე ჯარისკაცი- ჩემთვის არავის უთქვამს და არსად გამიგია...

პირველი ჯარისკაცი- შენ?

მეორე ჯარისკაცი- არ მახსოვს...

მესამე ჯარისკაცი- რა გამოდის. არ ვიცით მეთაური ვინ არის, არ ვიცით მტერი ვინ არის, არ ვიცით საერთოდ რა ომია. აქ როგორ აღმოვჩნდით? რას ვაკეთებთ? ან ეს ქალი ვინ არის? ვის ველოდებით? არაფერი არ ვიცით?

პირველი ჯარისკაცი- ვაიმე, მემგონი უდანაშაულო ქალი მოვკალით!

მეორე ჯარისკაცი- ამ ქვეყანაზე უდანაშაულო აღარავინაა!

პირველი ჯარისკაცი- იდიოტი ხარ? ერთი მოხუცი ქალია, იატაკის ჯოხით ხელში...

მეორე ჯარისკაცი- მე დამიძახე იდიოტი?

პირველი ჯარისკაცი- არ დამიძახებია, გვითხე იდიოტი ხო არ ხართქო.  
რა ვქნათ?

მეორე ჯარისკაცი- რა უნდა ქნა? უნდა დაელოდო.

პირველი ჯარისკაცი-ვის?

მეორე ჯარისკაცი- ვინც მოგვაკითხავს.

პირველი ჯარისკაცი- და არავინ რომ არ მოგვაკითხოს?

მეორე ჯარისკაცი-მოგვაკითხავენ!

პირველი ჯარისკაცი- დარწმუნებული ხარ?

მეორე ჯარისკაცი- დარწმუნებული არაფერში ვარ.

(პაუზა. პირველი ერთ ადგილზე ვერ ჩერდება)

პირველი ჯარისკაცი- მგონი უნდა გავიხედოთ,ვნახოთ, იქნებ...

მეორე ჯარისკაცი- საშიშია.

პირველი ჯარისკაცი- და თუ ტყუილად ვართ აქ გამოკეტილები? არც  
საჭმელი გვაქვს, არც წყალი და ღმერთმა იცის, ვინმე მოგვიტანს თუ არა.

მეორე ჯარისკაცი- მოგვიტანენ.

პირველი ჯარისკაცი-მშია! აღარ შემიძლია ლოდინი! უნდა შევამოწმოთ  
გარეთ რა ხდება!(მესამეს) გაიხედავ?

მესამე ჯარისკაცი- არ ვიცი...

(პაუზა)

პირველი ჯარისკაცი- კარგი, მოიცა... მაშინ... მე გავიხედავ.

მეორე ჯარისკაცი- არ გინდა.

პირველი ჯარისკაცი- უნდა ვცადოთ! რა მნიშვნელობა აქვს შიმშილით  
დავიხოცებით თუ გვესვრიან?

მეორე ჯარისკაცი- მოგვაკითხავენ!

პირველი ჯარისკაცი- არავინ არ მოგვაკითხავს!

მესამე ჯარისკაცი- ცოტა ხანიც ხომ არ დავიცადოთ?

პირველი ჯარისკაცი- (მესამეს) მარტო არ გამიშვა. (ნაძალადევად ილიმის) გამომყევი.

მესამე ჯარისკაცი- მომისმინე...

მეორე ჯარისკაცი-ფეხს ვერსად გაადგამ!ვერ გადარჩები. მაშინვე მოგკლავენ, როგორც კი თავს აყოფ. ვერ მოგცემ მაგის უფლებას!

პირველი ჯარისკაცი- ესე ძალიან შეგტკივა ჩემზე გული?

მეორე ჯარისკაცი- შემტკივა...

მესამე ჯარისკაცი- რა თქმა უნდა შეტკივა. ჩვენ ხომ უკვე ძმები ვართ, არა?

პირველი ჯარისკაცი-ვართ, მაგრამ ამიხსენი ვინ მომკლავს?

მეორე ჯარისკაცი-მტერი!

პირველი ჯარისკაცი- რომელი მტერი?

მეორე ჯარისკაცი- შენი მტერი! ჩემი მტერი! (მესამეზე) აი, ამისი მტერი! ჩვენი ქვეყნის მტერი! ჩვენი სისხლი სწყურიათ! გინდა დააღვინო?

პირველი ჯარისკაცი-ვერ გაიგე? არც კი ვიცით ვინ არის მტერი!

მეორე ჯარისკაცი- რა მნიშვნელობა აქვს ვინ არის?

პირველი ჯარისკაცი- ან საერთოდ არის? ვინ გითხრა რომ არის? ჩვენც გაგვიძხილე...

მეორე ჯარისკაცი- (ქალზე ანიშნებს) აბა ეს ვინ არის?

პირველი ჯარისკაცი- იქნებ, უბრალოდ ქალია?!

მეორე ჯარისკაცი-უბრალოდ ქალი... რა იყო ქალი მოგინდა?!შენი აზრით, ჩვენს გასართობად გამოაგზავნეს? იქნებ, საერთოდ ანგელოზია? ჩიტების

ქღურტულიც ხომ არ მოგესმა? იქნებ, უკვე სამოთხეში ვართ? ახლა აქ შეიძლება ვარდის ბუჩქიც გაიზარდოს! ან შეიძლება შენ ამოგივიდეს ფრთები! ომში „უბრალოდ ქალები“ არ არიან! და ომი მტრის გარეშე არ არსებობს! ჩვენ ბრძანება უნდა შევასრულოთ! გასაგებია რიგითო?

პირველი ჯარისკაცი- და შენთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ მოგკლავს? ან უკეთეს შემთხვევაში ვის მოკლავ?

მესამე ჯარისკაცი- გაჩერდით! არავინ არ მოკვდება!

მეორე ჯარისკაცი- როგორ არ მოკვდება! შენი აზრით ეს ცოცხალია? ამ ქალივით ყველანი მოკვდებით! აქ დავლპებით! ჩვენი სისხლის ჭაობად გადაიქცევა აქაურობა! ვინ ამოაშრობს მერე ამ ჭაობს? ველარავინ იპოვის ჩვენს გვამებს! ჩვენს ხორცს მატლები შეჭამენ! როგორც კი ეს სარქველს გახსნის -გამოვანაშკარავდებით! აქვე, ახლოს თუ არა, ცოტა მოშორებით მაინც იქნებიან. ტყვედ ჩავარდები და გაგვთქვამ!

პირველი ჯარისკაცი- (ირონიულად) ჩემზე შეგტკივა ხომ გული?

მესამე ჯარისკაცი- კარგი...

პირველი ჯარისკაცი- შენ მე ვინ გგონივარ?

მეორე ჯარისკაცი- მხდალი,პატარა, მტირალა ბიჭი!

პირველი ჯარისკაცი- მე ვარ მხდალი? შენ თავს შეხედე. ტყუილად კი არ გხატავს შენი შვილი კაბიანს. პატარა პირნცესა ხარ!

(მეორე წამოხტება და მუშტს მოიმარჯვებს)

პირველი ჯარისკაცი- რა? გინდა რომ დამარტყა?

მესამე ჯარისკაცი-გეყოფათ, გთხოვთ. ხომ ვთქვით, რომ ძმები ვართ?

მეორე ჯარისკაცი- მერე როდის იყო ძმას ძმა დაუნდია? გგონია მე დამინდობს? ან შენ?(პირველს)სიკვდილი თუ გინდა მიდი და მოკვდი. არ მაინტერესებს!მე სიცოცხლე მინდა! გაიგე? მე ცოლი მელოდება, ჩემი შვილი... (ფურცელს აჩვენებს) შეხედე! დააკვირდი! (კოცნის ნახატს) ეს, მე არ ვარ ამ ნახატზე, არა! ჩემი ცოლი და შვილია! მე არ ვარ, იმიტომ

რომ აქ ვარ! დავტოვე ისინი! მე მათ სახლში ვჭირდები! დავპირდი, გესმის? ცოცხალი უნდა დავბრუნდე და ამაში ხელს ვერც შენ შემიშლი, ვერც ისინი (მტერზე) და ვერც ღმერთი.

პირველი ჯარისკაცი- (ყვირის) მეც მყავს ოჯახი და მე ახლა მათთან მივდივარ!

მეორე ჯარისკაცი- ფეხს თუ გაადგამ...

პირველი ჯარისკაცი- რა?

მეორე ჯარისკაცი- სამშობლოს უღალატებ!

პირველი ჯარისკაცი- არც პირველი ვიქნები და არც უკანასკნელი ვისაც შენი სამშობლოსთვის უღალატია.

მეორე ჯარისკაცი- დეზერტირობისთვის დაისჯები!

პირველი ჯარისკაცი- ვინ დამსჯის? არარსებული მეთაური, თუ არარსებული მეთაურის არარსებული მეთაური, თუ იმის მეთაური? ვინ?

მეორე ჯარისკაცი- მე!

პირველი ჯარისკაცი- სამხედრო ტრიბუნალზე გამასამართლებ?

მეორე ჯარისკაცი- თუ საჭირო გახდება...

პირველი ჯარისკაცი- აქვე, ახლავე? და რომ გამამტყუნო, რას იზამ, დამიჭერ, თუ პირდაპირ დამხვრეტ? მიპასუხე! მესვრი?

მეორე ჯარისკაცი- თუ საჭირო გახდება, გესვრი!

პირველი ჯარისკაცი- მიდი მერე, მესროლე! მიდი! (პაუზა) მე მივდივარ! (ზურგს შეაქცევს და სარქველისკენ მიდის, მეორე ყვირის და კონდახს ურტყამს კეფაში. პირველი ძირს ვარდება.)

მესამე ჯარისკაცი- რას აკეთებ? რას აკეთებ? როგორ იმეტებ! (პირველს) კარგად ხარ? (პირველი არ პასუხობს. დგება. მესამე ცდილობს დაეხმაროს, მაგრამ ხელს გააწევიანებს. ერთ ნაბიჯს გადადგამს ისე, რომ ისევ ზურგი აქვს შექცეული ორივესთვის)

მეორე ჯარისკაცი- (მესამეს)მე ვიმეტებ? ის გვიმეტებს ორივეს!  
მსხვერპლად გვწირავს ჩვენც და საკუთარ თავსაც!

(პირველი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს)

მეორე ჯარისკაცი- (იარაღს ტენის) კიდევ გაინძრევი და ვესვრი!

პირველი ჯარისკაცი- ჩემთვის უკვე სულერთია.

მესამე ჯარისკაცი- მშვიდად, დადე იარაღი! ღმერთი ხომ გწამს?  
შენთვისაა ახსენე. ხოდა ცოდვას ნუ ჩაიდენ.

მეორე ჯარისკაცი- (ყვირის) კიდევ გაინძრევა და ვესვრი!

მესამე ჯარისკაცი-დააგდე იარაღი!

(პირველი ისევ მიდის სარქველისკენ)

მეორე ჯარისკაცი- ვისვრი! ოჯახს გეფიცები ვისვრი!

პირველი ჯარისკაცი- დააგდე იარაღი!

მეორე ჯარისკაცი- ჩემ შვილს გეფიცები ვისვრი!

მესამე ჯარისკაცი-მომეცი იარაღი!

მეორე ჯარისკაცი- არ გაინძრე, ბოლოჯერ გაფრთხილებ!

მესამე ჯარისკაცი- შემომხედე...

(პირველი სარქველის სახელურს ხელით ეხება, მეორე ისვრის.პაუზა.  
მესამე წაქცეულს მივარდება)

მესამე ჯარისკაცი- (მეორეს)რა გააკეთე?მართლა ესროლე? (ჭრილობას  
უსინჯავს)აქ სისხლია! ყველგან სისხლია!

პირველი ჯარისკაცი- მივხვდი...

მესამე ჯარისკაცი- რას მიხვდი? შემომხედე, თვალები არ დახუჭო!  
მომისმინე, მალე მოვლენ და წაგვიყვანენ აქედან. მიყურე... მოდი ჩემთან  
ერთად ისუნთქე... ერთი, ორი, სამი... (ღრმად სუნთქავს) ცოტაც

მოითმინე, გეხვეწები. შემომხედე... გაიხსენე შენი საწოლი, ბევრი ბალიში, ლიმონიანი ჩაი!

**პირველი ჯარისკაცი-მურაბიანი(ილიმის)**

მესამე ჯარისკაცი-გინდა რამე სასაცილო, მოგიყვე?

**პირველი ჯარისკაცი-ოღონდ შენი სიზმარი არა (პირველი თავს დაუქნევს)**

მესამე ჯარისკაცი- კი, კი ზუსტად! ხომ იცი რა მესიზმრება ყოველ ღამე?

**პირველი ჯარისკაცი-დათვი?(ძლივს ილიმის)**

მესამე ჯარისკაცი- ჰო, დათვი, მაგრამ არც გრიზლი და არც სხვა.. სათამაშო დათუნია მესიზმრება. ჩემმა დამ მაჩუქა, როცა სამი წლის გავხდი...ჰო, იყო დრო როცა და მართლა მყავდა.მალევე ავად გახდა, ძალიან ავად და იცი რა მითხრა? მითხრა, რომ მე როდესაც აღარ ვიქნები, ეს დათვი დაგიცავსო და ასეც არის.ამიტომ ვარ უკვდავი! მე აქ წამოვიღე, ახლა იცი რას ვიზამ? შენ მოგცემ. შენ დაგიცავს. (მირბის ჩანთისკენ, იღებს რბილ სათამაშოს და ახუტებს) აი, ნახავ მალე ყველაფერი მორჩება, სულ რამდენიმე მ/რ დარჩა. აი ნახავ, აი ნახავ! იბრძოლე, იბრძოლე! ცოტაც იბრძოლე!

**პირველი ჯარისკაცი- (ეხუტება დათვს)აღარ შემიძლია ბრძოლა. დავიღალე, მეძინება, ძალიან მეძინება... (კვდება)**

**მესამე ჯარისკაცი- (პაუზა)რა ჩაივინე, ხედავ? რა ჩაივინე? მოკალი! მოკალი! მწერი კი არა, ადამიანი მოკალი! მკვლელი ხარ!დაწყევლილი ხარ! დაწყევლილი! ახლა რა ვქნათ? მიპასუხე, რა გავაკეთოთ? ხმა ამოიღე!**

**მეორე ჯარისკაცი- არ ვიცი...**

(მესამე მშვიდდება და ჯდება. მეორე გვერდზემიუჯდება.ცალ ხელში იარაღი უჭირავს, მეორეში ნახატი. დიდი, ჩუმი პაუზა. მესამე იღებს ტელეფონს და რაღაცას წერს)



მესამე ჯარისკაცი- გახსოვს რა ვუთხარი?

მეორე ჯარისკაცი- რა?

მესამე ჯარისკაცი- გახსოვს ბოლოს რა ველეპარაკე? დათვზე და ჩაიზე და დანარჩენები...

მეორე ჯარისკაცი- ცოტა...

მესამე ჯარისკაცი- მიკარნახე...

მეორე ჯარისკაცი- რას აკეთებ?

მესამე ჯარისკაცი- (არც შეხედავს) სტატუსს ვწერ.

მეორე ჯარისკაცი- რა სტატუსს?

მესამე ჯარისკაცი- (პირველზე ანიშნებს) რაც მოხდა, როგორც მოხდა და რომ ვიზიარებ მისი ოჯახის მწუხარებას. მიკარნახე!

მეორე ჯარისკაცი- იცი რა?

მესამე ჯარისკაცი- რა?

მეორე ჯარისკაცი- მეც მომნიშნე მაგ სტატუსზე.

მესამე ჯარისკაცი- (ამოხედავს) რა?

(მეორეს შუბლთან დამიზნებული აქვს საკუთარი იარაღი... სურათს კოცნის და გაისვრის)

(მესამე ადგილიდან არ იძვრება. დაბნეული უყურებს. ცოტა ხანში ისტერიული სიცილი უტყდება, საბოლოოდ მშვიდდება. რამდენიმე წუთიანი პაუზა, გაშტერებული მხერით. ფხიზლდება.)

მესამე ჯარისკაცი- რომელი საათია? (დახედავს ტელეფონს. ეღიმება) რა თქმა უნდა ცხრის ნახევარია.

(პოეტურად)

ცხრის... ცხრის...

ვინ დასცინის ასე მწარედ ადამიანს?

ვინ... ვინ...

(დადლილი, ნელ-ნელა დგება. თავშესაფრის სარქველს ფრთხილად ახდის და შეშინებული ამოდის. შეამჩნევს მაყურებელს. ნელა მათ უახლოვდება, ხელებს მაღლა წევს და მუხლებზე დგება)

ფარდა